

სს „თიბისი ბანკი“ წესები და პირობები

- წინამდებარე ბიზნეს დაჯილდოების ვებ-გვერდის გამოყენება რეგულირდება სს „თიბისი ბანკის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204854595, მისამართი: თბილისი, ვ. მარჯანიშვილის ქ. #7) მიერ დადგენილი წესებითა და პირობებით.
- ტერმინები „ბანკი“, „ჩვენ“ გულისხმობს სს „თიბისი ბანკს“ (ასევე მისი ჯგუფის წევრ მონათესავე, შვილობილ, აფილირებულ კომპანიებს), ხოლო ტერმინი „თქვენ“ „მომხმარებელი“ გულისხმობს ინდივიდს, კომპანიას, ორგანიზაციულ წარმონაქმნს, რომელიც იყენებს ბანკის ვებ-გვერდს www.businessaward.ge გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ წინამდებარე წესებს და პირობებს, რომელიც არეგულირებს თქვენს მიერ ვებ-გვერდის გამოყენების პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით წინამდებარე წესებსა და პირობებს, გთხოვთ, დატოვოთ ბიზნეს დაჯილდოების ვებ-გვერდი.
- ვებ-გვერდზე სტუმრობით ან მასზე გამოქვეყნებული ინფორმაციის გამოყენებით, ადასტურებთ და სრულად ეთანხმებით მითითებულ ყველა დანაწესს, რომელიც შესაძლოა ცალმხრივად შეიცვალოს სს „თიბისი ბანკის“ მიერ გარკვეული პერიოდულობით, რაც დაფიქსირდება მოცემულ ვებ-გვერდზე და მასზე თქვენი სტუმრობა ნიშნავს შესაბამის პირობებზე დათანხმებას.
- ვებ-გვერდზე მითითებული ინფორმაცია შესაძლებელია არ იყოს ხელმისაწვდომი მსოფლიოს ყველა გეოგრაფიულ არეალში, ბანკის გადაწყვეტილების შესაბამისად.
- ბიზნეს დაჯილდოების ვებ-გვერდზე მითითებული გარკვეული ინფორმაციის გასაანალიზებლად, თქვენ შესაძლოა დაგჭირდეთ შესაბამისი სფეროს სპეციალისტისაგან კონსულტაციის მიღება.

ინფორმაციის სიზუსტე

- ბანკი არ არის პასუხისმგებელი ვებ-გვერდზე მითითებული ინფორმაციის შინაარსის სიზუსტეზე, მიუხედავად ჩვენი დიდი ძალისხმევისა, მოგაწოდოთ უტყუარი ინფორმაცია. აღნიშნული არ წარმოადგენს დადასტურებას და გარანტიას, რომ ვებ-გვერდზე მითითებული ინფორმაცია არის ზუსტი, უტყუარი და შესაფერისი მისი ნებისმიერი გამოყენებისათვის. ბიზნეს დაჯილდოების ვებ-გვერდზე არსებული ნებისმიერი ინფორმაცია მითითებულია „როგორც არის“ (“As Is”) საწყისზე. შესაბამისად, ვებ-გვერდზე არსებული შინაარსის გამოყენება სრულად წარმოადგენს მომხმარებლის პირად რისკს და ბანკი არ არის პასუხისმგებელი ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის გამოყენებით დამდგარ ზიანზე. წინამდებარე

დათქმა არ ეხება ბანკის ვებ-გვერდზე განთავსებულ ხელშეკრულებისშემადგენელ ნაწილებს.

- ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია არ წარმოადგენს დაპირებას მომსახურებაზე/პროდუქტზე და არ არის იმის საფუძველი, რომ ბანკი შეიბოჭოს რაიმე სახის სახელშეკრულებო ურთიერთობით.

პასუხისმგებლობის შეზღუდვა

- ბანკი და მისი შესაბამისი თანამშრომლები არ არიან პასუხისმგებელი დამდგარი შედეგისათვის, რომელიც მოიცავს პირდაპირ, არაპირდაპირ, სპეციალურ, შემთხვევით, მიზეზ-შედეგობრივ, არასახელშეკრულებო ზიანს, რაც გამოწვეულია ვებ-გვერდზე მითითებული ინფორმაციის გამოყენებით.
- ბანკი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი ზიანისათვის, დანაკარგისათვის რომელიც დადგა ვებ-გვერდის გამოყენებით, თუნდაც ეს გამოწვეული იყოს ტექნიკური შეფერხებით, დეფექტით, ოპერაციის გაუქმებით/შეჩერებით, კომპიუტერული ვირუსით ან სისტემის გაუმართაობით.
- ვებ-გვერდზე წარმოდგენილი შინაარსის ხელმისაწვდომობა შესაძლოა დამოკიდებული იყოს საძიებო სისტემის ფუნქციებსა და შეზღუდვებზე. ბანკი არ იღებს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევებზე, თუ ვებ-გვერდის შემადგენელი გარკვეული კომპონენტები ხელმიუწვდომელია თქვენთვის.

ვებ-გვერდის გამოყენება

- ვებ-გვერდზე მითითებული ინფორმაცია განკუთვნილია მხოლოდ მომხმარებლების პირადი გამოყენებისათვის. თქვენ ვალდებული ხართ, ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, ასევე ვებ-გვერდის სტრუქტურა, გამოსახულება და დიაზინი არ გაავრცელოთ, არ გადასცეთ, არ მოახდინოთ მისი ასლების დამზადება ან/და რეპროდუცირება (მათ შორის სოციალურ მედიაში) კომერციული მიზნებისათვის ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, რაც წარმოადგენს ჩვენს ერთპიროვნულ დისკრეციას. ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობა არ არის საჭირო, თუ ვებ-გვერდზე მითითებული ინფორმაციის/შინაარსის გამოყენება ხდება ბანკის წინასწარ განცხადებული თანხმობის შესაბამისად, ან ასეთი ინფორმაცია გამოიყენება პირადი მოხმარებისთვის, საგანმანათლებლო ან ინფორმაციული მიზნებისთვის.
- ვებ-გვერდის და სისტემის არავტორიზებული გამოყენება (მათ შორის არარსებული დასახელებით და კოდით) სასტიკად აკრძალულია. იქ სადაც

მოითხოვება რეგისტრაცია და პაროლის გამოყენება, თქვენ ვალდებული ხართ, კონფიდენციალურად შეინახოთ და არ დაუშვათ მესამე პირების მიერ ვებ-გვერდზე წვდომის შესაძლებლობა თქვენ მაგივრად.

- იმ შემთხვევაში, თუ ვებ-გვერდზე არსებული მომსახურება/პროდუქტი დაკავშირებულია ნებისმიერ გამოკითხვასთან ან ინტერაქტივის ჩატარებასთან, მომხმარებელი ვალდებულია დაიცვას ხმის მიცემისა თუ გამოკითხვის ეტიკის ნორმები და არ განახორციელოს რაიმე ინფორმაციის გაყალბება, ზეწოლის მოხდენა, კონკურენციის ზოგადი წესების დარღვევა და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდება შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ბანკის მიერ.
- რეგისტრაციისა და პაროლის გამოყენების დროს, თქვენ აცნობიერებთ და ეთანხმებით, რომ ბანკმა შესაძლოა მოახდინოს რეგისტრაციის და პაროლის დეაქტივაცია და აღნიშნული ქმედებით, შეზღუდოს ვებ-გვერდზე წვდომა იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან ადგილი აქვს წესებისა და პირობების დარღვევას.
- შესაძლებელია, რომ ვებ-გვერდის კონკრეტული გვერდი/პირობები შეიცავდეს წინამდებარე წესებისაგან და პირობებისაგან განსხვავებულ დანაწესებს. მათ შორის კოლიზიის არსებობის შემთხვევაში, სპეციალურ დანაწესებს ენიჭება უპირატესობა.
- ბანკის ვებ-გვერდის (მათ შორის ფორუმების) გამოყენებისას, თქვენ აკრძალული გაქვთ უკანონო/თაღლითური ქმედება, ცილისმწამებლური, სიძულვილის ენით საუბარი ან სხვა არასასურველი ინფორმაციის განთავსება, გავრცელება/ტრანსმისია, რაც შესაძლოა არღვევდეს მოქმედ კანონმდებლობას და რეგულაციას, ან ზიანს აყენებდეს ბანკის საქმიან რეპუტაციას. თქვენ ასევე გეკრძალებათ ვებ-გვერდისთვის ზიანის მიყენება ნებისმიერი სახის მავნე პროგრამის მეშვეობით („ტროას ცხენი,“ „ლოგიკური ბომბი“ ან სხვა მსგავსი ქმედებების განხორციელება).
- თქვენს ერთპიროვნულ რისკს წარმოადგენს ვებ-გვერდზე მოხვედრისათვის გამოსაყენებელი ნებისმიერი პროგრამული მოდულის (სატელეფონო, კომპიუტერული და სხვა) გაუმართაობა.
- იმ შემთხვევაში, თუ ვებ-გვერდზე წვდომა შეუძლებელი გახდება ბანკის ტექნიკური შეფერხების ან ბანკისაგან დამოუკიდებელი სხვა ნებისმიერი მიზეზით, ბანკი არ არის პასუხისმგებელი დამდგარ შედეგზე.

ინტელექტუალური საკუთრება

- ვებ-გვერდზე, მის შინაარსზე, სტრუქტურასა და დიზაინზე სრულად ვრცელდება სს „თიბისი ბანკის“ საავტორო უფლება. სს „თიბისი ბანკის“ ექსკლუზიური უფლებები ვრცელდება ასევე ბანკის მიერ შექმნილ და

რეგისტრირებულ ინტელექტუალური საკუთრების ნებისმიერ ობიექტზე, მათ შორის მის კუთვნილ სასაქონლო ნიშნებზე.

- ბანკის საავტორო (©) და სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები ვრცელდება წინამდებარე ვებ-გვერდსა და მასზე არსებულ მთელ შინაარსზე (პროდუქტებისა და მომსახურების ჩათვლით).
- აკრძალულია წინამდებარე ვებ-გვერდზე მითითებული ნებისმიერი ინფორმაციის/შინაარსის, მათ შორის ლოგო, პიქტოგრამა, გრაფიკა, სურათი, გამოსახულება, პატენტი, მომსახურების/სასაქონლო ნიშნები, დიზაინი, ბანკის მიერ შექმნილი ვიზუალური მედია, სარეკლამო რგოლები და სხვა ინტელექტუალური საკუთრების (რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული) უნებართვო გამოყენება, დამუშავება და გამოქვეყნება (მათ შორის სოციალურ მედიაში) ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ბანკის თანხმობა არ არის საჭირო, თუ წინამდებარე მონაცემების გამოყენება ხორციელდება არაკომერციული, პირადი მიზნებისათვის და ასევე წინასწარი თანხმობას არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა ან შესაბამისი საერთაშორისო რეგულაცია. ინტელექტუალური საკუთრების ვებ-გვერდზე მითითება არ ნიშნავს ლიცენზიის მინიჭებას მომხმარებლისათვის მის გამოყენებაზე. ვებ-გვერდიდან მომხმარებლის მიერ ნებისმიერი ინფორმაციის კომერციული მიზნებისათვის გადმოწერა ან ასლის დამზადება ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობის დარღვევად.
- წესებში და პირობებში მითითებული არცერთი დანაწესი არ განიჭებთ უფლებას ან ლიცენზიას წინამდებარე მუხლში ჩამოთვლილი ბანკის ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებაზე.
- იმ შემთხვევაში, თუ ბანკის რომელიმე ვებ-გვერდზე არის შესაძლებლობა მომხმარებელთათვის ჩატის, ინტერაქციის თუ დიალოგის/დისკუსიის გასამართად, თქვენ ვალდებულნი ხართ, წინამდებარე არხებში დააფიქსიროთ მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელზეც თქვენ ფლობთ ინტელექტუალურ საკუთრებას, ან გაქვთ შესაბამისი პირის თანხმობა. ამასთან ერთად, ბანკს ანიჭებთ უფლებას დაამუშავოს (მოიცავს გამოქვეყნებასაც) თქვენს მიერ დაფიქსირებული ინფორმაცია კანონიერი, საკომუნიკაციო/საინფორმაციო (მათ შორის საგამოფენოდ, კონკურსში მონაწილეობისათვის) მიზნებისათვის.
- ბანკის ვებ-გვერდზე მითითებული კომპანიების სახელები, სასაქონლო ნიშნები, ლოგოები ეკუთვნის შესაბამის პირებს.

კონფიდენციალურობის დაცვა

- სს „თიბისი ბანკი“ უზრუნველყოფს მისთვის მიწოდებულ კონფიდენციალური ინფორმაციის მაქსიმალურ დაცულობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- ბანკი მომხმარებლის პერსონალურ ინფორმაციას ითხოვს საჭიროებიდან გამომდინარე, იმ მოცულობით, რაც საჭიროა მომსახურების ეფექტურად გასაწევად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მომხმარებელს ნებისმიერ დროს შეუძლია მოთხოვოს ინფორმაცია ბანკისაგან მისი პერსონალური ინფორმაციის დამუშავების თაობაზე.
- ბანკის მხრიდან კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცემა ხორციელდება თქვენი წინასწარი თანხმობით ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- ბანკი მაქსიმალურად ცდილობს იზრუნოს თქვენი პირადი, კონფიდენციალური ინფორმაციის უსაფრთხოებასა და გაუმჟღავნებლობაზე, მაგრამ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თქვენი მონაცემების დისტანციურად მოწოდების პროცესი არ არის დამოკიდებული მხოლოდ ბანკზე, ჩვენ ვიხსნით პასუხისმგებლობას მესამე პირების მიერ თქვენი მონაცემების არასანქცირებულ წვდომაზე, ამ მონაცემების ბანკისთვის მიწოდების დროს.
- კონფიდენციალური ინფორმაციის ბანკისათვის მიწოდების დროს, მომხმარებელი ვალდებულია, არ მოახდინოს ისეთი ავტომატური საშუალებების გამოყენება, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ბანკის უსაფრთხოებას და დაცულობას.
- თქვენს მიერ ვებ-გვერდის სტუმრობისას თქვენ მიერ დატოვებული ნებისმიერი „ელექტრონული ნაკვალევი“ შესაძლოა გამოყენებულ იქნას ბანკისათვის დამახასიათებელი ჩვეული ტექნიკური ოპერაციების განსახორციელებლად, სტატისტიკის საწარმოებლად ან საიტის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
- ბანკის მიერ ადმინისტრაციული ფუნქციების ეფექტურად შესასრულებლად, შესაძლოა თქვენ მიერ გამოგზავნილ იქნას პერსონალური მონაცემი ბანკის/ბიზნეს დაჯილდოების ელექტრონულ ფოსტაზე. გაცნობებთ, რომ ბანკი არ არის პასუხისმგებელი გადაცემის პროცესში, მესამე პირის არასანქცირებული ჩარევის შედეგად, აღნიშნული ინფორმაციის უკანონო მოპოვებაზე ან იმ ინფორმაციაზე, რომელიც მომხმარებელმა თავადვე გახადა საჯარო ან გაავრცელა ნაკლებად უსაფრთხო ელექტრონული საშუალებებით.
- ამასთან, გაცნობებთ რომ თიბისი ბანკი აძლევს უფლებას ჟიურის წევრებს გამოიყენოს და დაამუშაოს „ბიზნეს დაჯილდოება 2018“ პროექტის ფარგლებში თქვენ მიერ დარეგისტრირებული პერსონალური მონაცემები (მათ შორის სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი და სხვა) და ინტელექტუალური საკუთრება, სავაჭრო ნიშანი, ფოტო-ვიდეო მასალა, ლოგო, ვიზუალი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს გაავრცელოს აღნიშნული ინფორმაცია სხვადასხვა საშუალებებით (ტელევიზია, პრესა, ინტერნეტი, ვებ-გვერდი, ლიფლეტი, ბუკლეტი, აპლიკაცია და ა.შ) .

ვებ-გვერდზე მითითებული ბმულები

- ბანკი უფლებამოსილია ვებ-გვერდზე მიუთითოს ჰიპერბმულები, მესამე პირის მფლობელობაში არსებული ვებ-გვერდების ლინკები თქვენივე ინფორმაციისათვის და კმაყოფილებისთვის.
- ბანკი ადეკლარირებს, რომ მესამე პირის მფლობელობაში არსებული ლინკები და მასზე მითითებული ინფორმაცია, არ ექვემდებარება ბანკის კონტროლს და ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას მესამე პირების ვებ-გვერდებზე მითითებული პროდუქტების თუ შინაარსის სიზუსტეზე. შესაბამისად, თქვენ ხართ პასუხისმგებელი მესამე პირების რესურსებზე/ვებ-გვერდზე არსებული წესებისა და პირობების გაცნობაზე.

ცვლილების განხორციელება

- ბანკი უფლებამოსილია ცვლილება შეიტანოს წინამდებარე წესებსა და პირობებში მომხმარებელთათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე.
- მომხმარებელი პასუხისმგებელია რეგულარულად გაეცნოს წინამდებარე წესებსა და პირობებს. თქვენს მიერ ვებ-გვერდზე სტუმრობა/მითითებული ინფორმაციის გამოყენება ავტომატურად ნიშნავს თქვენს დათანხმებას წინამდებარე წესებისა და პირობების მოთხოვნებზე.

მარეგულირებელი სამართალი და იურისდიქცია

- წინამდებარე წესები და პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
- დავის წარმოშობის შემთხვევაში, საქმეს განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- წინამდებარე დანაწესების კონკრეტული ჩანაწერის ბათილობა არ იწვევს წესებისა და პირობების სხვა დათქმების ბათილობას.

საკონტაქტო ინფორმაცია

- ნებისმიერი კითხვის არსებობის შემთხვევაში, რაც უკავშირდება წინამდებარე წესებსა და პირობებს და ვებ-გვერდზე მითითებულ ინფორმაციას, ოფიციალური კომუნიკაციის საწარმოებლად გთხოვთ, მოგვმართოთ

წერილობითი სახით, ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით
შემდეგ მისამართზე: www.businessaward.ge